სტატი თეკლესიის ისტორი ქრონი

287 1 208

287 1 208

ეროვნული ბიბლიოთეკა
ისტორიული ფონდი
დასკანირებულია
16 01 2018

„ლიტერატურა", 1980, 11/IX

ბიბლიოგრაფია

W109

ლიტერატურათმცოდნეობის კარგი შენაძენი

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკაში ნაყოფიერად მოღვაწეობს ჩვენი თანამემამულე მეცნიერი, პროფესორი აკაკი თოფურია.

მის წიგნებსა და ნაშრომებს კარგად იცნობს მკითხველი საზოგადოება, რომელიც მათში ჰპოვებს ქართული ლიტერატურის ახალი და უახლესი პერიოდების მთელი რიგი პრობლემატური საკითხების, გამოჩენილ მწერალთა ცალკეული შემოქმედებითი ნიმუშების ახლებურად გაანალიზება-გაშუქებას. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე ავტორი ღრმად წვდება მისი ცნობიერების საკვლევად მიჩნეულ საკითხთა არსში, მაძიებლის დაუოკებელი ენით ავლენს ძირითად იდეურ მიზანდასახულ ტენდენციებს და ცხოვრებისეული მოვლენების მიმართ ამა თუ იმ მწერლის დამოკიდებულებას, მისი შემოქმედების ღირებულებას-მნიშვნელობას.

ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ მათი უმეტესობა უმაღლესი და საშუალო განათლების პროფილით მასობრივად გამოსაყენებელ ფონდს განეკუთვნება. ამგვარი ღირებულებისაა აკ. თოფურიას ახალი წიგნიც „ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან", რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა (რედაქტორი ზ. კილაძე, გვ. 240, ტირაჟი 2 ათასი 55 კაპ.).

წიგნს უძღვის ცნობილი მწერლისა და კრიტიკოსის გიორგი ნატროშვილის ოთხგვერდიანი წინათქმა წიგნსა და ავტორზე, რომელიც მისთვის ჩვეული ორიგინალური ფორმითა და თბილი გულით დაწერილი მშვენიერი მიძღვნითი ნობათია. მისგან მკითხველს საშუალება ეძლევა გაიგოს აკ. თოფურიას საიმედოდ გამოჩენა ლიტერატურის სარბიელზე ომის დამთავრების წინ, როცა ფარაჯიანი ოფიცრის ფრონტული ლექსებიდან ერთ-ერთი — „ვდგავარ კარპატის ქედზე მხარგაშლით" საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარ ლიტერატურულ ორგანოში დაბეჭდილა.

წიგნში სულ 14 ნაშრომი და პუბლიცისტური სტატიაა შესული, რომელთა ერთ ნაწილს ადრინდელ პერიოდიკასა თუ მისივე კრებულებში გავცნობივართ. მიუხედავად ამისა, დღესაც მკითხველში დიდ ინტერესს აღძრავს ორიგინალური გააზრების შემცველი ნაშრომები „ილია ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი", „თაობათა ბრძოლაში გრ. ორბელიანის ადგილის გარკვევისათვის", უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების უფრო ღრმა გაგებისათვის.

ამ უკანასკნელში განხილულია ქართული ლიტერატურის განვითარების, ცხოვრებასთან მისი მჭიდრო და განუყრელი კავშირ-ურთიერთობის საქმეში ის დიდი როლი, რაც თან მოჰყვა, როგორც ძლიერი ნაკადი, 60-იანი წლების რუსეთის დემოკრატიულ აზროვნებას და მის ნოყიერ ნიადაგზე ნაშობ ქართველ მესამოციანელთა ანუ „თერგდალეულთა" შემოქმედებას, ე. ი. საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის შედეგად მომხდარ რადიკალურ ძვრებსა და კეთილისმყოფელ გავლენას.

საინტერესოდ იკითხება კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიები, რომლებშიც აკ. თოფურია პირად შეხვედრა-ურთიერთობათა და შეცნობა-დაკვირვებათა შერწყმით მიმოიხილავს ცნობილი ქართველი პოეტებისა და მწერლების ი. ევდოშვილის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძის, გ. ლეონიძის, ა. მირცხულავას, გრ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, ო. ჩხეიძის შემოქმედების ძირითად დამამშვენებელ ქმნილებებს თუ ნაშრომებს.

მოსაწონია ავტორის წერის მანერა, თხრობისა და გარჩევის თავისებურება, სადა, ლაპიდარული ლექსიკა. ამ წიგნს, წინამორბედთა მსგავსად, მკითხველთა ფართო წრე ჰყავს.

კ. კობახიძე.

ბიბლიოთეკის მუშაობის გამოცდილებიდან

აკაკის ბ

„დგას საქართველო ოქ ლექსების ნექტარით სავსე“

№1 საბავშვო ბიბლიოთეკა ზაფხულის არდადეგების პერიოდში მუშაობას ეწეოდა დევიზით „მე, ზაფხული, სიბეჯითე და არდადეგები“.

კითხვა განუზომელ სიამოვნებას ანიჭებს ნორჩებს, მაგრამ მათი წიგნით დაინტერესება და ბიბლიოთეკაში მკითხველებად ჩაბმა სხვადასხვა სახის საინტერესოდ ორგანიზებული ღონისძიებებით ხორციელდება.

არდადეგების პერიოდში საბავშვო ბიბლიოთეკისათვის ნათელი გახდა გასვლითი ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა.

საბავშვო ბიბლიოთეკის კოლექტივი თავისი ბიბლიოთეკის წევრებისა და ღონისძიებაში მონაწილე აქტიური მკითხველებისაგან შემდგარი დიდი ჯგუფით სკოლა-ინტერნატს, იქ მოქმედ პიონერთა ბანაკ „თოლიას“ ეწვია.

ეწვია და თავისი სტუმრობით მეტად გაახარა მასპინძლები. პიონერთა ბანაკში ღია ცის ქვეშ საინტერესოდ, დახვეწილად ჩატარებულმა ლიტერატურულმა საღამომ დევიზით: „აკაკი — საქართველოს უგვირგვინო მეფე.“ — მეტად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ლიტერატურული საღამოს შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორმა ნ. გუჯაბიძემ.

მოხსენებები თემებზე „აკაკი და ახალგაზრდობა“, „საძობლოს სათაყვანისთვის ჩანგი გაკურთხოს ზენამა!“ — წაიკითხეს მ. სართახიამ და საბავშვო ბიბლიოთეკის უფროსმა ბიბლიოთეკარმა ხ. გოგავამ.

ინსცენირებები პოემებიდან „ნათელა“ და „გამზრდელი“ წარმოადგინეს მ. ქართველიშვილმა, ნ. თევზაძემ, ხატო და რუსუდან თარგამაძეებმა, ნ. კოკაიამ, ქ. კორტავამ, რ. სართანიამ, ნინო და მარინე ქართველიშვილებმა.

შესრულებულ იქნა დიდი ქართველი მგოსნის ლექსების ტექსტზე შექმნილი მელოდიები.

ბოლო არ უჩანდა პიონერთა ბანაკში მყოფ ბავშვთა მოწონების შეძახილებს.

და, ბოლოს, ასეთი შინაარსიანი და საინტერესოდ ორგანიზებული ღონისძიებების ჩატარებისათვის, სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ე. გაბედავამ დიდი მადლობა გადაუხადა №1 საბავშვო ბიბ-

---

ფოთის №-1 სამუსიკო სკოლის დირექცია ხსნის 1980-81 სასწავლო წელს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ შეთუშავებული დებულების თანხმად, მოსამზადებულ ჯგუფს.

მოსამზადებელ ჯგუფში მიიღებიან 5-6-7 წლის ბავშვები. სწავლების ხანგრძლივობა 5 წლიანთათვის 2-წელი, 6-7 წლიანთათვის 1-წელი.

განცხადებების მიღება ყოველდღე გარდა გამოსასვლელი დღეებისა, 17 სექტემბრამდე. კონკურსი ჩატარდება 22 სექტემბერს დილის 10 საათზე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 1. განცხადება დირექტორის სახელზე, 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 3. 2 ფოტო სურათი 3:4 ზე, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. მშობლების ცნობა სამუშაო ადგილიდან.

სხვა დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას, ჯაფარიძის ქ. №-8 ტელეფონი 15-26, 14-56.

№1 სამუსიკო სკოლის დირექცია

ფოთის მოსახლე მოწყობის

ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთმშენებელ-გემთშემკეთებელი ქარხანა იწვევს მოსწავლეებს.

გემის ზეინკალ-მემონტაჟეების, გემის კორპუსის მშენებლების, ელექტრო-გაზმშენებლების, ხარატების, მღარავების, გემის მღებავების მოსამზადებელ მოკლევადიან კურსებზე.

სწავლების პერიოდში მოსწავლეები მიღებული იქნებიან სამუშაოდ და გაივლიან პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებას გამოცდილი ოსტატებისა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელმძღვანელობით. ჩამოსულები დაკმაყოფილებულ იქნებიან კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლით.

მსურველებისათვის ქარხანასთან არსებობს საღამოს დასწრებული გემთსამშენებლო ტექნიკუმი (ქართული და რუსული ჯგუფები).

ქარხანა ახალგაზრდა მუშებს უწევს დახმარებას საზღვაო ფლოტის

ტელევიზია

ხუთშაბათი, 11 სექტემბერი

20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.40 — „შემოქმედებითი პორტრეტები“, — ო. იოსელიანი. გამეორებით (ფ.), 22.00 — „ვრეშია“ (მ.), 22.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „აგატა თხოვდება“ (სა-

მეუღლე გულნარა, შვილები: ფატიმა, დალი, ნინო. დები: ლიდუშა, ციციკო, მანუჟა, ფაქიზო. ძმები: იპოლიტე, პარმენი, სიდედრი ლენა, სიმამრი გრიშა ქირია. რძლები შურა, თალიკო, სიძეები ვაჟიკო, ვარლამი, ნოდარი, ძმისშვილები: რეზო, ცისანა, დათო, მარინა, ირინა. დისშვილები შახი, ჯანიკო ,ზურიკო,